№ 13 იანვარი 18, ხუთშაბათი — 1890 — იანვა[რი 18, ხუ]თშაბათი 13 №


გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

[illegible] და კერძო განცხადებათა უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას [illegible] ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაშიახალი წიგნი:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. ფ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

---

კვირას, 21 იანვარს,

ტფილისის სობრანიაში

გამართული იქნება

## კონცერტი

«წერა-კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ზაროუდნაია, უნტილოვისა და ბ-ნნი: იპპოლიტოვ-ივანოვი, კუსნერი, კოლჩინი, სარაჯოვი, კ. მესხი, თ. კ. თუმანოვი, ტხორჟევსკი, ქართული ხორო რატილის ლოტბარობით და სხვ.

კონცერტს შემდეგ იქნება

ტანცები.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება „სობრანიის“ შვეიცართან.

---

ქართული თეატრი

პარასკევს, 19 იანვარს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

## უკანონო შვილი

დრამა 5 მოქმედ. თხზ. ა. დიუმასი.

ანტონის როლს შეასრულებს ბ-ნი მესხი.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, აბაშიძისა; ბ-ნნი მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე

---

## ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 15 იანვარს, საღამოს რვა საათზე, მიხეილის ქუჩაზედ მყოფ მუსიჩუკას ლუდხანაში შევიდა გუმბრის მაზრის მცხოვრები ა. უსოევი და ერთი ჭიქა ლუდი მოითხოვა. როცა მიუტანეს ლუდი, მეორე ოთახში გავიდა, სადაც არავინ იყო, და იქ დაიწყო სმა. ცოტა ხანს შემდეგ იმ ოთახიდგან რაღაც ბრახუნის ხმა გამოისმა. შეცვივდნენ და შემდეგს სურათს წაადგნენ თავს: ერთს სტოლთან იატაკზედ იწვა უსოევი, შუბლზედ ჰრილობა უჩანდა და იქვე ეგდო რევოლვერიც. როცა ჰკითხეს, რად იკლავდი თავსაო, დაჭრილმა უპასუხა, რომ „ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთ, მე თითონ მივირტყი რევოლვერი და მიზეზს-კი შემდეგ გეტყვითო!“ როცა ჰრილობა გაუსინჯეს, აღმოჩნდა, რომ ტყვიას მარჯვენა თვალს ზემოდ გაევლო და თავის ქალაში შემდგარიყო. დაჭრილი უსოევი მაშინვე მიხეილის სამკურნალოში გააქანა პოლიციამ და აქ ექიმებმა ტყვია ამოუღეს. ექიმები ამბობენ, რომ ძნელად თუ დაჭრილმა იცოცხლოსო. უსოევი სულ ოც-და-ორის წლის ყმაწვილი კაცია და ეხლა-ხანს ჩამოსულა ტფილისში ერევნიდგან.

*** დაიბეჭდა 1890 წ. სასულიერო და საერო კალენდარი, შედგენილი დეკ. დავ. ღამბაშიძისაგან. წიგნი შეიცავს 242 გვ. და, საკალენდარო ცნობათა გარდა, მოთავსებულია შიგ მრავალი ამბავი შესახებ ჩვენის ქვეყნისა და მთელის დედამიწის გეოგრაფია-ისტორიისა. იქვეა ქართული მღვდელთათვის საეჭვო საგნების განმარტება, ქართველ წმინდანების სია, უუსაჭიროესნი ცნობანი შესახებ ექიმობისა და მრავალი სხვა. წიგნი ღირს ერთი აბაზი.

*** გუშინ-წინ, 16 იანვარს, ტფილისის საოპერო დასმა წარმოადგინა „რიგოლეტტო“, ოთხ-მოქმედებიანი ოპერა ვერდისა. ეს ოპერა ძალიან მოსწონთ ჩვენში მუსიკის მოყვარეთა და თითქმის ყოველთვის ხალხი ბლომად დაიარება ხოლმე, მაგრამ ამ ხანად-კი „რიგოლეტტოზედ“ ნაკლებად დაესწრო საზოგადოება. თეატრი ნახევრადაც არ იყო სავსე. ტარტაკოვი ჩვეულებისამებრ კარგი „რიგოლეტტო“ იყო და ტომარსმაც ჰერცოგის როლში არა დაუშავებია-რა, ბოლოს, ოპერის გათავებისას რომ ხმა არ გასწყვეტოდა მაღალის ნოტის აღებაზედ. დასი ამზადებს და ამ დღეებში პირველად წარმოადგენს ტფილისში ბაზეს სამ-მოქმედებიანს ოპერას: „მარგალიტის მძებნელნი“.

*** სამეურნეო გაზეთის „Земледѣльческая газета“-ს 50 და 51 №№-ში მოყვანილია ცნობანი შესახებ ფილოქსერის გავრცელებისა შორაპნისა და ქუთაისის მაზრებში. წერილის ავტორი ამბობს, რომ შორაპნისა და ქუთაისის მაზრის მკვიდრნი ძალიან ხშირად არიან დასახლებულნიო, ვენახები სოფლებისა თითქმის ერთი მეორეზედ გადაბმულია და ამიტომ ფრიად ძნელია, რომ ამ მაზრის რომელიმე კუთხე გადურჩეს ამ საშინელს მტერსა და ყველა ვენახს არ მოედოსო. ხოლო ახლო-მახლო მაზრები და ქვეყნები თვით ბუნებითვე დაცულნი არიან ფილოქსერის შესევისაგან, რადგან შორაპნის მაზრასა და ქუთაისისას ფრიად მაღალი მთები არტყია ქართლისა, რაჭისა და ლეჩხუმის მხრითაო. მაშასადამე, უნდა ვეცადნეთ, რომ როგორმე თვით კაცმა ავადმყოფი ვაზი არ შეიტანოს ხსენებულს ქვეყნებში. მთავრობის ნება-დართვით ავადმყოფი ვაზები უნდა ფესვიანად ამოიჭრას და დაიწვას, თუმცა ამ გვარად რომ ამოვჰრათ და დავწვათ შორაპნისა და ქუთაისის ვენახებში ვაზი, მაინც ვერ ვიტყვით, რომ ფილოქსერას გადავურჩით, რადგან ამ მაზრებში მრავალია გარეული ვაზიც და ყველა ამ გვარ ვაზს ეინ მოსძებნის დაბურულს ტყეში. ფილოქსერა-მორეულ ვაზების წა-

---

## ფელეტონი

### სამეურნეო იარაღებისა და მაშინების განყოფილება 1889 წლის კავკასიის გამოფენისა.

(შემდეგი *)

2) ორ-სახნისიანი გუთნები

მრავალ-სახნისიან გუთნების მნიშვნელობა მხოლოდ მატარებელის ძალის დაზოგვაა, ე. ი. მცირე ძალით შეგვიძლიანთ ბარაქიანად მოხნათ, რადგან ერთ გუთანში ორი თუ რამდენიმე გუთანია ერთად შეკრული. ქართველებს ძალიან გვიყვარს საერთოდ ბარაქიანი ხვნა. ამიტომ, თუ ერთხელ შევეჩვიეთ ორ-სახნისიან გუთნებს, ძალიან გავრცელდება ჩვენ მეურნეთა შორის. ამ ღირსებას ისიც დაემატება, რომ მართვა ხელით სრულიად არ ესაჭიროებათ და გუთნისდედა მეტია, ყოველი მრავალ-სახნისიანი გუთანი თითქმის თვით-მსვლელია, „სამახოდი“.

მუშაობდნენ: ა). ეკკერტის ქარხნისანი ოთხი ორ-სახნისიანი გუთანი, სრულიად ფოლადისა, ნიშნებით: 1) ZREP, ფასი 57 მანეთი, 2) ZRBP, ფასი 66 მანეთი, 3). ZBB, სამს გოგორაზე, ფასი 67 მანეთი (მესამე გორა დამატებული აქვს, ვითომ უფრო ადვილად მოსატრიალებლად და შორს მანძილზე წასაღებად), 4) ZWEP—ფასი 60 მანეთი. ამათში მართლა ჩინებულად ხნავდა ნიშნით ZRBP,ება სამი უღელი ცხენი და ხნავდა $3^1/_2$ გოჯის სიღრმეზე და 11 გოჯ. სიგანეზე უხარვეზოდ და სუფთად. დინამომეტრი უჩვენებდა 350 კილოს გამწევ ძალისას. მთელის გუთნის სიმძიმე 6 ფუთი და 3 გირვანქაა.

ბ) ვოტკინის სახელმწიფო ქარხნისა მუშაობდა სამი ორ-სახნისიანი გუთანი, ნიშნებით: 1) ВЗД$7_4$, ფასი 40 მანეთამდე, 2) ВЗД $7_1$, სამს გოგორაზე, ფასი 50 მან., 3) ВЗДЖ$_2$, პახრაკისებურად მოყვანილ ფრთებით და სამ გოგორაზე, ფასი 57 მან. თუმცა ყველა ეს სამი გუთანი კარგად ხნავდა, მაგრამ ამათში უფრო ჩინებულად ხნავდა გუთანი ნიშნით ВДЗЧ$_1$. ება სამ უღელი ცხენი, როგორც სხვებში, და ხნავდა 3 გოჯის სიღრმეზე და 10 გოჯ. სიგანეზე. დინამომეტრი უჩვენებდა 350 კილოს გამწევ ძალისას.

გ) ლენიკის ქარხნისა (ვეტშაუ გერმანია, წარმომადგენელი კრაუზე, ველიამინოვის ქუჩა, № 12) მუშაობდა სამი ორ სახნისიანი გუთანი, ნიშნებით 1) $C_2$, ფასი 60 მან. 2) $C_3$, ფასი 66 მანეთი და 3) ALIII—პახრაკისებურად მოყვანილ ფრთებით, ფასი 75 მანეთი. ამათში არც ერთი არა ხნავდა კარგად, გარდა მეორისა ნიშნით $C_3$, რომელშიაც ება სამი უღელი ცხენი და ხნავდა 3 გოჯ. სიღრმეზე და 11 გ. სიგანეზე. დინამომეტრით თხოულობდა 360 კილოს გამწევ ძალას.

დ) ივ. გენეს ქარხნისა მუშაობდა ორი ორ სახნისიანი გუთანი, ნიშნებით: 1) № 2—ფასი 50 მან. და მეორე ДК$_2$—ფასი 50 მანეთი. ამათში უკანასკნელი სრულიად არც მოგვეწონა არც მუშაობით და არ შეხედულობით, მეტად უშნო შეხედულობა ჰქონდა. პირველი-კი ნიშნით № 2 ჩინებულად ხნავდა, ება სამი უღელი ცხენი და ხნავდა 3 გოჯ. სიღრმეზე და 10 გოჯ. სიგანეზე. მთელი გუთნის სიმძიმე $7^1/_2$ ფუთია, გამწევი ძალა დინამომეტრით ეჭირვებოდა 360 კილო. ერთის სიტყვით, კარგი გუთანია; ამითი შეიძლება იმაზე მაგარის მიწის მოხნაც.

ე) ორ-სახნისიანი გუთანი გრაგამისა (როსტოვიდგან) ნიშნით Д, ფასი 50 მანეთი, ძალიან ცუდათა ხნავდა. სამის უღელის ცხენით ხნავდა $3^1/_4$ გოჯ. სიღრმეზე და $9^1/_2$ გოჯ. სიგანეზე, მაგრამ ძალიან უსუფთაოდ. გამწევ ძალას დინამომეტრით თხოულობდა 370 კილოს. ახხმულიც ძალიან ცუდად იყო და მასალაც უვარგისი ჰქონდა ნახმარები. ისე ცუდად იყო ახხმული, რომ ერთი ფრთა მეორეზე ა[რ] მოსდიოდა, ტულკებიც დამტვრეული ჰქონდა და სხვა ბევრი ნაკლი. 3) დევეის ორ-სახნისიანს მავთული გაუწყდა და სრულიად ველარ იმუშავა. ამიტომ იმის ღირსებისა და ნაკლულევანების შესახებ ვერას ვიტყვით.

3) სამ-სახნისიანი გუთნები

სამ-სახნისიან გუთნების მნიშვნელობა ისევ ის მატარებელ ძალის ეკონომია, დაზოგვაა, რომელმაც ორსახნისიან გუთნებს ესოდენი გავრცელება მოუპოვა მთელს ევროპასა და ამერიკაში. ამათ შორის მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ სამ-სახნისიან გუთნებს პირდაპირ სახნავად, ე. ი. პირველ პირის მისაცემად არა ხმარობენ, არამედ უკვე მოხნულის მეორედ და მესამედ გადასახნავად, ანუ, როგორც ჩვენში უწოდებენ, ნაოშისათვის. ამ საქმის შესასრულებლად სამ-სახნისიანი გუთნები მართლა შეუდარებელნი არიან. ხვნა-თესვის მოყვარულთ არ შეგვიძლიან არ ვურჩიოთ ამ გუთნების შემოღება. იმათი მუშაობა მეტად ბარაქიანია და თვით აგებულებაც დიდად შემთავრებული აქვთ.

1) ვოტკინის სახელმწიფო ქარხნის მიერ წარმოდგენილი იყო და მუშაობდა ორი სამ სახნისიანი გუთანი, ნიშნებით 1) ВЗТЖ$_1$, სრულიად რკინისა და ფოლადისა,—ფასი 75 მანეთი და 2) ВЗТЧ$_1$ თუჯის სტოიკით, ფასი 62 მანეთი. ამ ორში ჩინებულად აწყობილი იყო და მშვენიერადაც ხნავდა პირველი, ნიშნით ВЗТЖ$_1$, ება ოთხი უღელი ცხენი, ხნავდა 4 გოჯ. სიღრმეზე და ერთ არშინ სიგანეზე. დინამომეტრი უჩვენებდა 650 კილოს გამწევ ძალას; მეორე-კი დინამომეტრით თხოულობდა 425 კილოს გამწევ ძალას და ხნავდა $4^1/_4$ გოჯ. სიღრმეზე და 14 გოჯ. სიგანე. 2) ეკკერტის მიერ წარმოდგენილი იყო და მუშაობდა ორი სამ სახნისიანი გუთანი, ნიშნებით DRE—სრულიად ფოლადისა, რუხადლოსებურ ფრთებით, მსუბუქ, რბილ მიწებისათვის, ფასი 73 მანეთი, და მეორე DWE—პახრაკისებურად მოყვანილ ფრთებით, უფრო მძიმე, მაგარ მიწებისათვის, ფასი 77 მანეთი. პირველს ჰქონდა ზედ მომართული სიმინდის სათესი მაშინა, ნიშნით MA, რომელიც ცალკე 28 მ. ღირს. ამის ღირსების დაფასება მუშაობის დროს შეუძლებელი იყო, რადგან სათესის მაშინის დაფასება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც იმისი ნათესი ამოვა. თვით გუთნები-კი ორივე კარგადა ხნავდნენ და ჩინებული ახხმულობაცა ჰქონდათ. პირველი ხნავდა $3^1/_4$ გოჯის სიღრმეზე და მეორე 4 გოჯ. სიგანეზე. დინამომეტრი უჩვენებდა 425 კილოს გამწევ ძალას. მეორეშიაც ოთხი უღელი ცხენი ება და ხნავდა

*) იხ. „ივერია“ №12.

მლობა შეიძლება. დესიატინა ვენახის წამლობა ყოველ-წლივ 214 მან. ღირს და ამას გარდა პატიეიც ბლომად არის საჭირო, ხოლო აქაური მცხოვრებლები ისე ღარიბნი არიან, რომ ყოველ წლივ 214 მ. ვერ გამოიღებენ და მთავრობა დაეხმაროს როგორმე.

*** რაჭა: სოფელს ტოლაში შარშან დეკემბერს კინაღამ ერთი არაჩვეულებრივი თავის კვლა არ მოხდა. გლეხს ზ. გ—ძეს გარდაეცვალა შვილიშვილი. მოხუცი პაპა (ბაბუა) ამ დროს სახლში არა ყოფილა. როცა უთქვამთ იმისთვის ეს უბედური ამბავი, მოხუცს გრძნობა დაჰკარგვია, მერე აუღია დანა და გამოუჭრია ყელი, თუმცა იმდენი ძალა-კი ვერ დაუტანებია, რომ ყანყრატოც გადაეჭრა. ჭრილობა გამწარებულის მოხუცისა სასიკვდილო არ აღმოჩნდა და, რამდენისამე ხნის შემდეგ, მოხუცი ისევ ფეხზე წამოდგა.

*** ქიდამვე: ინფლუენცია ხომ არის და არის ჩვენში და ხშირად ზედ ერთვის ფილტვების ანთება, ჭვალი, გულის დაჭერა და სხ. მაგრამ ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, რაჰაში სხვა სნეულებაც გავრცელდა, რომელსაც ხალხი „სნებას“ ეძახის. ამ სნეულებამ რამდენიმე კაცი უკვე უდროოდ გამოასალმა ამ წუთი-სოფელს.

*** დ. ახალ-სენაკი: როგორც ჩვენს დაბაში, ისე მთელს იმის ახლომახლო სოფლებში საშინლად გავრცელებულია ახალ მოდის სენი „ინფლუენცია“. ამ სენმა მცირე ხანში ბევრი გამოასალმა ამ წუთი-სოფელს.

*** ქიდამვე: ინფლუენციაზედ მეტად შეგვაწუხა სული აქაურებს ახალ-სენაკიდამ ძველ-სენაკამდე რიგიანის გზის უქონლობამ. ისეთი ტალახის მორევები სდგას ამ გზაზე, რომ ბედაურს ცხენს გაუჭირდება შიგ გადატოპვა. ურმისა და ფაიტონისთვის ხომ ჯოჯოხეთის ბეწვის ხიდზე გასვლა უფრო ადვილი უნდა იყოს, ვიდრე იმ ტალახისა და ტლაპოს მორევებში.

*** პოლიციის მეხუთე ნაწილში შეიპყრეს ჯარის-კაცი ივანე ორლოვი, რომელსაც ვერცხლის კოვზი ჰქონდა პარუჩიკის თ. მ. ციციშვილისაგან მოპარული.

*** 16 იანვარს პოლიციის მოხელემ პაპოვმა შეიპყრო 153 ქვეითი ჯარის პოლკიდამ გამოქცეული თევდორე პოპიგინა.

*** 17 იანვარს საქართველოს ეგზარხოსის ალაყაფის კარებთან იპოვეს მიგდებული ახლად დაბადებული ბავშვი. ბავში საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## ქართული თეატრი

გუშინ-წინ, 16 იანვარს, ქართულის თეატრის არტისტებმა ქ-ნ ბ. აველიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინეს ჩვენს სცენაზედ არა ერთხელ დადგმული ხუთ-მოქმედებიანი დრამა: „ორი ობოლი“. ეს პიესა ქართველს საზოგადოებას ძალიან უყვარს და ყოველთვის საკმაოდ ესწრება ხოლმე იმის წარმოდგენაზედ. უმთავრესსა და ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო როლებს თამაშობდნენ თვით მობენეფისე—გენრიეტა, საფაროვისა—ლუიზა, გაბუნია—ფროშარი, სვიმონიძე—ჟაკი და ხუციშვილი—პიერი. ყველა ზემოხსენებული არტისტი, სვიმონიძეს გარდა, თავ-თავის როლში იყო და არა ერთხელ უთამაშნიათ ეგევე როლი. თვით მობენეფისემ გრძნობიერად ჩაატარა გენრიეტას სიმპატიური როლი და განსაკუთრებით ის ადგილი მოუვიდა კარგად, სადაც თავისს უსინათლო დასა ჰპოულობს გულის მობრუნების შემდეგ. არტისტ-ქალს უტყუარად გამოეხატა სახეზედ სიხარული დის პოვნისა და ამ ჭეშმარიტის გრძნობით ბევრსაც აუჩუყა გული. ლუიზა და ფროშარი, რაღა თქმა უნდა, შეუდარებელნი იყვნენ. სვიმონიძეს ჟაკის როლში არა უჭირდა-რა, ცოტა რომ არ გადაემეტებინა თავისის უადგილო-ადგილას ყიჟინით. ხუციშვილს როლის უცოდინარობა ემჩნეოდა. გედევანოვი ლაფრესის როლში სუსტობდა.

საზოგადოდ პიესამ ისე მწყობრად ვერ ჩაიარა, როგორც ჩაუვლია არა ერთხელ და ორჯელ ჩვენს სცენაზედ იმავე არტისტების მიერ ნათამაშევ'. ეტყობოდათ, რომ არტისტებს ადრევე არა ჰქონდათ აწონ-დაწონილი თავ-თავისი სათამაშო და სიმწყობრე, ჰარმონია აკლდა წარმოდგენას. ამას გარდა, ზოგიერთი მოთამაშე, სამწუხაროდ, მეტის-მეტად აბიჯებდა როლის მიერ შემოფარგლულს წრეს და სცდილობდა ქანდარის სიცილი და მოწონება გამოეწვია. არის ისეთი როლი, რომ თავის თავადაც მეტად სასაცილოა, და ცუდს სჩადის ის მოთამაშე, რომელიც მხრების ხშირად შმუშენითა და ბუზღუნით სცდილობს ხარხარი ასტეხოს მაყურებელთა შორის და მეტის-მეტი ყურადღება მიიქციოს. ამას გარდა ბ-ნს კანდელაკს ვურჩევთ, რომ სცენაზედ ბუნებრივად დაიჭიროს თავი, მეტის-მეტად ხელების ქნევითა და თავის ქინდრით ნუ აპარებს და მაშინ მაინც ღასდოს თავისს სათამაშოს დამჯდარი და დაფიქრებული ხასიათი, როცა იმისთანა როლსა თამაშობს, როგორსაც გუშინ თამაშობდა, ექიმისას მაგალითებრ.

ამ პიესას საზოგადოდ ჩვენი არტისტები იმ ადგილას აბოლოვებენ, საცა პიერი ჟაკსა ჰკლავს და ამით ანთავისუფლებს გენრიეტასა და უსინათლო ლუიზას იმის ხელიდგან. ამას მოსდევს ერთი მოქმედებაც, რომლის დროსაც ექიმი არჩენს ლუიზას, რომელიც გრაფინიას შვილი აღმოჩნდება, და თვალის სინათლეს უბრუნებს და როჟერ დე-ბონდი კიდევ გენრიეტას ირთავს. ამ მოქმედების გამოტოვებით-კი პიესა როგორღაც ბოლო-მოკვეცილი რჩება და მაყურებელი საზოგადოება, მეტადრე მდაბიო ხალხი, ამ გარემოებით უკმაყოფილოა. კარგი იქმნებოდა, რომ არტისტებს ეს უკანასკნელი სცენაც არ გამოეტოვებინათ და სრულად ეთამაშნათ ხოლმე.

თეატრში საკმაო ხალხი დაესწრო, მაგრამ სწორედ ისინი არ იყვნენ, ვინც უნდა ყოფილიყო. ხკამები და ქანდარა სულ მდაბიო ხალხს გაევსო, ინტელიგენცია-კი აქა-იქ ძლივსა ჰჭანებდა. მობენეფისეს საზოგადოებამ სამი საჩუქარი მიართვა: დაფნის გვირგვინი, ვერცხლის ჩაის იარაღი და ბრილიანტის ბეჭედი.

მანველიძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ეკატერინენფელდი, 10 იანვარი. ამას წინად ორიოდე სიტყვა ვსთქვით „ხატის სოფლის“ შესახებ, რომელიც ბორჩალოს მაზრაშია და რომელმაც ჯვარობა იცის ხოლმე. ამ სოფელს სხვანაირად ეწოდება „ბოლნისი“, ასე რომ ეს სახელი უფრო იმისა სახელია, ვიდრე ხატის სოფელი, და ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნიც განსაკუთრებით „ბოლნისს“ უწოდებენ. საქმე იმაშია, რომ ეს სოფელი სდგას იმ დიდს ქალაქის ნაადგილევზედ, რომლის სახელიც „ბოლნისი“ საქართველოს საისტორიო მწერლობაში დიად ცნობილია.

ამ სოფლის გასწვრივ, სამხრეთ-დასავლეთისკენ, ორსა თუ სამს ვერსზედ, გაშენებულია თათრის სოფელი, რომელსაც სახელად „კაპანაკჩი“ ეწოდება. თუმცა ამ სოფლის გამშენებლებს, თათრებს, თავისი სახელი დაურქმევიათ მისთვის—კაპანაკჩი, მაგრამ მეტი სახელი, ბოლნისი, მაინც თავიდამ ვერ მოუშორებიათ და ამ სოფელსაც უფრო „ბოლნის კაპანაკჩი“ ეწოდება. ესევე ეწოდება ამ სოფლის გასწვრივ, სამხრეთით, ორის ვერსის სიშორეზედ მდებარე სოფელს „ხაჩინს“, სადაც მთლად სომხები სცხოვრობენ: სახელდობრ „ბოლნის ხაჩინი“. ამ სახელების მიმატება ზემოხსენებულის სოფლებისათვის ცხადად ამტკიცებს, რომ სამივე სოფელი მდებარეობს ისტორიულ ქალაქის „ბოლნისის“ ნაადგილევზედ. მაშასადამე, ეტყობა ქალაქს ბოლნისს კარგა ვრცელი ადგილი სჭერია, ესე სამი, თუ ოთხი ოთხ-კუთხი ვერსი. რომ ეს ასეა, ჰმოწმობს ის გარემოება, რომ მთლად ამ სამის სოფლის ადგილ-მდებარეობა ერთ ნაირს ნანგრევებს, ნასოფლარებს, ნასახლარებსა და სასაფლაოებისა და საწნახლების ნაადგილევს წარმოადგენს. აგილოთ თუნდა ეკკლესიების ნანგრევები. თავით ბოლომდის, რაც ამ სოფლებს ადგილი უჭირავთ, შიდ-რვა ეკკლესიის ნანგრევს შეხვდებით შუაგულს ნასოფლარებში, თუ ამაღლებულს გორაკებზედ, დასავლეთით. აგრეთვე ამ ნაქალაქევს გარშემო მცირე-მცირე მანძილზედ არტყია ეკკლესიები: დასავლეთ-სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და, მოშორებით, სამხრეთით. ამ ეკკლესიებში ზოგნი დიდნი არიან, ქალაქის შუა საფერისნი, ზოგნი პატარანი, ქართველობისა და ზოგიც სომხობისა. განირჩევა მათ შორის ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ეკკლესია, რომლის სიმშვენიერე და სიდიდე ჯერ ისევ შორიდამა სჩანს. ისეა დაცული, გეგონებათ სულ ორმოც-სამოცის წლის აშენებულიაო. ეს ეკკლესია სიონს არ ჩამოურჩება სიდიდით, სდგას მთა ადგილას, აურილის ტყით გარშემორტყმულია, ძირს ცოტა მოშორებით მდინარე წყალი ჩამოუდის და აქედგან მედიდურად გამოიყურება, თითქოს ჯერ სამწუხარო არა გამოუვლია-რა, ან გამოუვლის, მაგრამ მაინც მერმისის იმედით იყოს აღსავსეო. მხატვრობა-კი მთლად არა აქვს დაცული.

სულ სხვაა ამ სოფლების შუა აღმართას მდებარე უზარმაზარი ეკკლესია, რომელიც უპატრონოდ, ობოლივით, ყველასაგან თავ-მინებებული თავის კედლებიდამ საშინელის მდუმარებით გამოიყურება, თითქოს გვემდურება, აგრე უპატრონოდ რად დამტოვეთო. ოდესმე დიდებით მოსილი, დიდის მამულ-დედულის პატრონი, დიდის ჭირისა და ლხინის მნახველი დღეს უპატრონოდ

---

$3\frac{1}{2}$ გოჯ. სიღრმეზე და 15 გოჯის სიგანეზე, დინამომეტრი უჩვენებდა 462 კიდლოს გამწევ ძალას.

3) ესსენისა და მახროვსკის მიერ იყო წარმოდგენილი და მუშაობდა ორ-სამ სახნისიანი გუთანი ესრედ წოდებული „პუკკერი“. ერთს ჰქონდა გუთნის ხე თუჯისა და ფასი 55 მანეთი და მეორეს რკინისა და ფასი 65 მანეთი. ამათში ეს უკანასკნელი ბევრითა სჯობდა მეორეს და ჩვენც უფრო მოგვეწონა, ოთხის უღელის ცხენით ხნავდა $2\frac{3}{4}$ გოჯ. სიღრმეზე და ერთ არშინ სიგანეზე. ეს „პუკკერები“ საერთოდ მეტად კარგი და გამოსადეგი იარაღებია მიწის ასაოშებლად თესვის დროს, კავისა და ფოცხების მაგიერ, სადაცკი ეს უკანასკნელი კიდევ იხმარებიან. დანარჩენმა ორმა სამ-სახნისიანმა გუთნებმა გრაგამბაისმა და ლენიკისამ არ ივარგეს მუშაობაში. ვერ იყვნენ კარგად ასხმული და ვერც კარგად დაყენებული. გრაგამის გუთანს, როგორც იმის სხვა გუთნებს, დაბალის ღირსების მასალა ჰქონდა ნახმარები და ასხმით ხომ სრულიად შეუფერებლად და უყურადღებოდ ასხმული იყო.

### II

თესვის დროს სახმარებელი იარაღები, აჩეჩები და სხვა.

როგორც თესლის მოსაპნევ მანქანებში, ისე მიწაში თესლის დასამალავ და მიწის სუბუქად ასაშლელ იარაღებ შორის წარმოდგენილი იყო ბევრი ძალიან წარჩინებული ეგზემპლიარი, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ექსპერტთა კომისიამ ვერ მოახერხა იმათი გამოცდა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, როგორც მრავალის კიდევ სხვა მაშინისა და იარაღისაც, ამიტომ, თუ ვიტყვით რასმე ამ იარაღების შესახებ, ჩვენგან თქმული იქნება მხოლოდ საერთო აზრი მათს ღირსებაზედ დამყარებული მათ მიერ უკვე მოპოებულ სახელის მიხედვით. აქ არ შევეხებით ადგილობრივ ხმარებულ იარაღებს, რადგან მათი ღირსება და ნაკლულევანება უკვე ყველამ კარგად ეიცით, ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ ქართული გუთანი გასაძევებელია ჩვენის მეურნეობიდამ, მით უფრო გასაძევებელია ჩვენი მამაპაპური ფარცხი, რომელიც ვერც ნახევრობამდე ასრულებს თავის დანიშნულებას: თესლის დამალვასა და ბალახეულობისაგან მიწის გაწმენდას. ქართული ფოცხები ხომ, ჩვენდა სამწუხაროდ, სრულიად გადაეარდა ხმარებიდგან და იმათ სამაგიეროდ ჯერ არა შემოგვეღია რა.

ეკკერტის ქარხნის მიერ წარმოდგენილი იყო: 1) ოთხ-სახნისიანი აჩეჩა Лущильникъ-запашникъ ნიშნებით NYP$_4$, ფასი 66 მანეთი, და ამაზედ ერთის ფუთით მძიმე, ნიშნით NYP$_2$, ფასი 75 მან. ეს აჩეჩები მიწას შლიან $1-2\frac{1}{4}$ გოჯ. სიღრმეზე და 14 გოჯის სიგანეზე. ამ იარაღებს ხმარობენ თესვის წინად მიწის მოსამზადებლად და თესლის დასაფარავადაც;

2) დამუხლეილი რკინის ფოცხი, ანუ ფარცხი, სამ ნაწილისაგან შეკრული, ნიშნით ВГР$_3$, ფასი 46 მანეთი. მუშაობს 2 არშ. და 15 გოჯის სიგანეზე. გამოსადეგია განსაკუთრებით მძიმე მიწებისათვის.

3) მომცრო უნივერსალური მომბნევი სათესი, ნიშნით № 9P, ფასი 100 მანეთი, მუშაობს ერთის საჟენის სიგანეზე და ცოტა მეტს სივრცეზე. ათს საათში სთესს რვა დღიურს. ამ მაშინით შეიძლება ყოველ გვარი თესლეული დაითესოს. თესლის რაოდენობა აიწყვის ჩარხების შეუცვლელად. უამინდობა თესვას არ უშლის, ეკკერტის სათესი მაშინები საერთოდ დიდად განთქმულია.

ვოტკინის სახელმწიფო ქარხნის მიერ წარმოდგენილი იყო:

ოთხ სახნისიანი აჩეჩა (лущильникъ-запашникъ) რკინისა, ნიშნით ВЗЛ, ფასი 52 მან. 50 კაპ. ესეც კარგი იარაღი სჩანდა. მასალა კარგი ნახმარები ჰქონდა და კარგადაც იყო ასხმული. იხმარება ისე, როგორც ეკკერტის აჩეჩა. ვოტკინის ქარხნის იარაღების გამო საერთოდ უნდა ესთქვათ, რომ ეს ქარხანა თუმცა სულ სამი წელიწადი არ არის, რაც გაიმართა, მაგრამ შედარებით მეტად მოსაწონს იარაღებს აკეთებს. და, თუ საქმე ასე წავიდა, რაშიაც ეჭვი არა გვაქვს, ამ ქარხანას ვერც ერთი საზღვარ-გარეთის ფირმა თავის დროზე ველარ გაუწევს ცილობას.

ამ ქარხნის მიერ წარმოდგენილი იყო კიდევ: სამი რკინის ფარცხი „ზიგზაგ“ 1) ორიანი, ნიშნით 12, ფასი 25 მანეთი; 2) სამიანი ნიშნით 14—ფასი 20 მანეთი 2) კიდევ სამიანი, ესრედ წოდებული „ზიგზაგი სადა“, ნიშნით 14, ფასი 30 მან.

ლენიკის მიერ წარმოდგენილი იყო უნივერსალური სათესი, რომელმაც დღეში უნდა დაფარცხ-დათესოს 16-20 დღიურამდე, ფასი 170 მანეთი.

ვისაცა სურს თესლი კარგად დაჰფაროს, მიწა წესიერად გააღვიოს და გაასუფთაოს ბალახ-ბულახისაგან, ფასი არ უნდა დაჰზოგოს და უთუოდ შეიძინოს რკინის ფარცხი ზემოხსენებულის ფირმებისა, გინა სხვა ფირმისა. ყველა გამოჩენილი ქარხნები სამეურნეო იარაღებისა საერთოდ კარგ ფარცხებს აკეთებენ, მხოლოდ მიწის შესაფერად-კი უნდა ამოარჩეულ იქმნან: მძიმე მიწას უფრო მძიმე ფარცხი ესიპიროება, სუბუქს უფრო სუბუქი. განსაკუთრებით რანსომი აკეთებს ჩინებულს ფარცხებს.

ლენიკის მიერაც წარმოდგენილი იყო შოტლანდიური ორ-ჩონჩხლიანი ფარცხი, სიგანე $2\frac{3}{4}$ არშ., ფასი 52 მანეთი. ესეც კარგი ფარცხი სჩანდა.

ესსენისა და მახროვსკის მიერ იყო წარმოდგენილი სათესი მაშინა ეკკერტის სისტემისა, ფასი 120 მანეთი. დღეში ამ მაშინამ უნდა დასთესოს, როგორც ნათქვამი იყო კატალოგში, 20 დღის ხნული, ეს მაშინა არის კოპიო ეკკერტის დიდის უნივერსალურის სათესისა, რომელსაც აპარატის სიგანე 5 არშინი და $4\frac{1}{2}$ გოჯ. აქვს და ამის გამო ვიწრო გზებზედ გადასატანად სათესის ყუთის შუაზედ გაკეთებული აქვს ღერძი, რომელზედაც თვლებს უკეთებენ და ყუთი ამ სახით სიგრძეზე იდგმის თვლებზედ. რაოდენად კარგი უნდა იყოს ეს კოპიო ესსენისა და მახროვსკისა არ ვიცით.

ეკკერტისა და ვოტკინის ქარხნების მიერ წარმოდგენილი იყო კიდევ სხვა-და-სხვა იარაღი, რომელნიც მცენარეთა მოვლისათვის იხმარებიან: მაგ. მიწის შესაყრელი და სათოხნი იარაღები. მაგრამ იმათ გარჩევას არ შევუდგებით, რადგან მათი გავრცელება ჩვენს მეურნეობაში ჯერ კიდევ ძალიან შორეულ დროსათვის გადახადებია, და ვინც იმათ ყიდვას მოისურვებს, იმას უჩვენოდაც ეცოდინება, რა უნდა იყიდოს და სად უნდა იყიდოს.

თ. სვ. ვაზირიშვილი
(შემდეგი იქნება)

არის დარჩენილი, უპატიურების და ბილწობის ზედ გადაქცეულა დროთა ვითარების გამო. ეს ეკკლესია გარეშე-ურჯულოთა და ცხვართა და საქონელთა სათავშესაფარად გამხდარა. ეკკლესია გახლავთ ჩვენთა მამა-პაპათაგან დარჩენილი საპატრიარქო-მიტროპოლიტო ეკკლესია და სიონი ეწოდება სახელად. აქ უცხოვრიათ მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა და ყოველ კვირა-უქმეს თვით მიტროპოლიტს ეპისკოპოსებითურთ უწირ-ულოცავს.

ეს ეკკლესია სიონზედ განიერია, სიგრძე ერთი და იგივე ექნებათ, სიმაღლით ტფილისის სიონი მაღალია. გუმბათი არა აქვს, დიდის ქვითკირის გალავნით არის გარშემორტყმული და აღმავლის კარებთან დიდი სამრეკლო აქვს. სამხრეთ აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მონაზონთა სენაკები აქვს მიდგმული. ხავს-მოკიდებული კედლები და სახურავი ჯერ კიდევ მთელია, დაუნგრეველი. სახურავზედ დროთა ვითარების გამო ბალახი და ხეები ამოსულა. შიგნით ეკკლესია ერთიანია და მხატვრობა აქაც არ არის დაცული. თათრები არიან ეხლა იმის ბატონ-პატრონები და იმათ გაუძარცვავთ მხატვრობაც. დაწვრილებით შიგ ეკკლესიებში როგორი მოწყობილობაა, ვერას ვიტყვი, რადგანაც შიგ არა ვყოფილვარ, მხოლოდ შორიდამ დავინახე.

თვით ქალაქის მდებარეობა ასეთი ყოფილა. დასავლეთით ნასახლარების დაბლა მთა-კლდის გასწვრივ, რომელიც ჩრდილოეთიდამ სამხრეთისკენ კარგა შორს მანძილზედ გადის; ეკკლესიები და სასაფლაოებიც ამ მხარეს არის; ნასახლარების აღმოსავლეთით, ცოტა დაბლა, მდინარე წყალი ჩამოდის და კიდევ აღმოსავლეთით, თანდათან დაბლა, ვენახებისა და საწნახლების ადგილებია. ზოგს ადგილს ისევ გაუშენებიათ ვენახები სოფლებს. შემდეგ მცირე მინდორი და მთაა, ასე რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მთები ერთმანეთის სიახლოვით არიან, ჩრდილოეთით გორაკები და სამხრეთით მთები ერთმანეთზედ მოშორებულია. შუაში ქალაქი ყოფილა გაშენებული.

დღესასწაულებს შობა-ახალწელიწადს და ნათლი-ღებას ეკატერინენფელდის გერმანელები ასე ატარებენ: შობის წინა დღეს ნასადილევს აქაური მოსახლენი ერთმანეთს ულოცავენ ბედნიერს დღეებს წინდაწინვე მომზადებულის ნაზუქ-კრენდილებით, ხმელის ხილითა და, საზოგადოთ, ტკბილეულობით. ჰნახავთ, გუთნის გამოშვების დროს, პატარა ბავშვებს: თითო ან ორილი გამოკრული სალფეტკები უჭირავთ და მიარბენინებენ სიხარულით მეზობლისას. ბავშვების გასართობად შობა დღესვე დასდგამენ ტაბლას და ზედ პატარა ნაძვის ხეს, აყვავებულს ფერადად ქაღალდითა და მეინავარე შაქრით. ამ დღესვე სასწავლებლის ქალ-ვაჟი და თვით გასათხოვარი ქალები საქორწილო უმაწვილ-კაცებითურთ გამოიფინებიან სოფელს გარეთ მთა-მინდორზედ, სადაც თამაშობენ, მღერიან, ცეკვობენ, ერთმანეთს ეთამაშებიან. ესევე ახალ-წელიწადსა და ნათლი-ღებას. ჩვენებური ყიჟინ-ხივილი და სიმხიარულე აქ არ არის. თუმცა ამ დღესასწაულებში კიდეც ჰპატიჟობენ ერთმანეთს, ერთად დროს ატარებენ, მაგრამ სრულიად თავისებურად. საზოგადოდ აქაური წყნარი და აუჩქარებელი ხალხია. სახლი რომ გეწოდოს, არ გამოეჩქარება გასაქრობად. ჯერ უნდა მოიფიქროს, რამ გააჩინა ცეცხლი, როგორ ყოფილა საქმე, რა მოჰყვება იმ ცეცხლს, რა ღონისძიებით უნდა გაქრეს, და მხოლოდ მაშინ წამოვა გასაქრობად. რომ ელაპარაკებოდე, სისხლს მოგგვრის, მინამ პასუხს მოგცემს, თითქო ან ლაპარაკს არა ჰკადრულობსო, ან ეზარება ლაპარაკიო, მაგრამ ის ამ დროს თავისებურად მოიფიქრებს და გადაწყვეტილს პასუხს გეტყვის. ეს ხალხი, ამათი სისხლი, ხორცი, გული, ტვინი სულ სარგებლობაზედ არის გადამდგარ-გადაგებული, პრაკტიკული ხალხია. დიდათ საგულისხმო და სასარგებლოა ამათი გაცნობა და შინაური ცხოვრების გაგება.

ახალ-წელიწადს ღამეს ბევრი უთევს. შუაღამისას გერმანელების საეკკლესიო ხორო, რიცხვით ორმოც-სამოცამდე კაცი, თითქმის სულ ქალები, დაიარება ქუჩა-ქუჩა და ორ-სამს კომლს ერთად უმღერს და უგალობებს დღესასწაულის შესაფერს საგალობელსა და სიმღერას დიდის სიწყნარითა და ხმის შეწყობით. ამათი დღესასწაულები იმითია შესანიშნავი, რომ ამ დროს უთუოდ რამე ახალს სასარგებლო დაწესებულებას ჰმართავენ და ძველ დაწესებულებისათვის აუცილებლად ფულს ახლად აგროვებენ.

## აღწერა წერა-კითხვის საზოგადოების ხელ-ნაწერთა.

(შემდეგი *)

მე-114 ფურცელზე ბოლონდელ უშნო ხუცური ხელით ქვემო არშიაზე სწერია: უფალო ღმერთო, მოიხსენე ფრიად ცოდვილი სიმონ. კტონ ლონ ნაეონ აფტუ ა ნ (ეს უკანასკნელი ფრაზა ბერძნულია ქართულ ასოებით დაწერილი). მე-240 გვერდზე verso ქვემო არშიაზე ბოლონდელის ხუცური ხელით სწერია:

ჯალინოზ, ბაგრატ და იოანნა, მასარჯო, მაჰმად ზაქარიას ძე,
ანდრომახოს და აბუჯარია, თიადიყ, ფოლოს მასო იაჟს ძე,
არბიისიოს მადიანელი, თებითყურ, ისაკ თებით ყურას ძე,
და არხიჯან, დევჯან ჰუნან; მესიაჲ, იბნიმას, რუფოს, სინაპას ძე—
ესენი დიდნი ფილასოფოსნი ცდილობდენ კაცთა უკვდავ ყოფასა,
ეძიებდიან ხასიათებსა ხეთა, ბალახთა, ყოველთა მყოფთასა,
მოულხინებდენ, ნუგეშის ცემდენ, ჰირს განდევნიდენ ავადმყოფთასა
და ვერ [მოიპოვეს]... (აქ არშია წაჰრილია).

ბოლოს მეხუთე დამატებულ ფურცელზე შუა ადგილას გაკრულის მხედრულის ხელით სწერია: ეს კარაბადენი მარტვილთა მღვთის მშობლის შეწირული არის. დავით ლეონის ძემ დადიანმა ამით უნდა უაქიმოს ის ხატი, როცა ავად გახდეს. ბაძა თ. გრიგოლ წერეთელი.

ამავე ფურცლის მეორე გვერდზე სწერია: ჩყვ წელს, იანერის კე, იშვა დავით ლეონის ძე დადიანი ზუგდიდს, ეხლა არის კგ წლისა ღვთით.

ბოლოს საჭიროდ ვრაცხთ აქ სრულად მოვიყვანოთ ის ლექსიკონი, რომელიც ამ ხელ-ნაწერში მოიპოვება და რომლის სიტყვები უმეტესი ნაწილი არც ერთს ჩვენს ლექსიკონში არ მოიპოვება. თუ ამ გვარი ჩვენის სიტყვიერების მასალა თანდათან არ შევკრიბეთ, უიმისოდ ჩვენის ენის სრულ ლექსიკონის შედგენა ერთის კაცისაგან შეუძლებელი იქნება. აი ეს ლექსიკონიც:

ანგუშათი—ქალბანა
ალაქი—კვეი
ააყაყია—ინდოეთით მოვა, წებოს გავს, ჩამოსხმულია.
ასთობი—რომ არის აპოში ყარნი არუ.
ამლაჯი—ალილოს გვარია.
აზადრახტი—სუმბული.
არარარის მარცვალი—ყურძნის მარცვალი.
ასჯანახი—მხალია.
ანჯირა—ჯინჯრის თესლი.
ადარაგონი—სეინტრის თესლი.
აზეკმაქი—მურუმაქი არის.
აღხარი—კორთხოჯი.
ალაქი—ლაქსაც ქვიან.
ალვა—სარხიშტი.
ასაარაი—კოჩორდა.
აფშარაი—აბზინდა.
ასთაფიყონი—ბალახია.
ანდუზი—აპუტრატი.
ასფარაბამი—იფნის კაკალი.
აესინთი—ავზინდა.
ანდუპა—არდი სპარსულად.
ანაკვეთი—ქატო.
აზურაშტი—წიწმატის თესლი.
ამარტანი ამრიგი—ბაბუნაჯსა ქვია.
ათიმე ხაზარი—იფნის კაკალია.
ანგუქატი—ქალბანა არის.
აბრყარა—მთის ტარხუნის ძირია.
აბულასი—მერცხალასა ჰქვიან.
აბუსალი—მოცხარი არის.
ამანსპანი—ფილფილი, პილპილსა ჰქვიან.
აქლემის დემი—აქლემს ზურგზედ ხორცმეტი აქვს, ის არის.

—

ბედანჯირი—პიტნის თესლი.
ბადარამბო—ბარამბო.
ბანგი—ნელ-ცოფა.
ბასბასა—ჯავზის ყვავილი.
ბაჰას-ფარანი—კიდევ ბარამბო.
ბედანჯირი ფარანჯა—მუშკი.
ბანდრავაქი—გუნდრუკი.
ბერძნული—ჟაჰარი, თხილი.
ბოვრისა სისხლი—ბუს სისხლი.
ბასალიყონი—ჰინდოეთიდამ მოვა, ხის გურკა.
ბადარუქი—პატრუქი.
ბრინძი—ალილო.
ბადროქი—ნიახური.
ბადავარდი—მთის ვარდი.
ფაჯალი — სპარსულად ბოლოკს ჰქვიან.
ბალკათა ლიმაკი—სპარსულად თოხმახანი არის.
ბაზრუთი—ფიჭვის თესლი არის.
ბადრანგი—გრძელი კიტრი.

—

გავზობანი—საროს ჰქვიან.
გვარიშინი—გაკეთებული.
გულანგუბინი—გულ-ყანდი.
განდანა—პრასა.
გაზამანა—ზროხის ენა არის.
გაზმინა—თახვის ყვერი არის.
გაზამაზუ—გუნდაში რომ გუნდა არის, იმას ჰქვიან.

—

დაჰანიშტი—კანაფის თესლია.
დრამინა—ხვარახანი.
დარანგონი—დრაკნის ფერსა ჰქვიან.
დანანას-კუდა—თამარინდსა ჰქვიან.
დენგრა—მატიტელა.

—

ვაბაიიც—მთის ვარდი.
ვარარამი—შაშკალავა.
ვაშა—ოშაყი.
ვაჯი—კოთხოჯი.

—

ზადარჩობა—ყვითელი კოჭი.
ზუფა—ბირკაია.
ზარაყა—უგულო ლერწამი წვრილი.
ზარნიხა—ბამბუნაჯი.
თურმუსი—ხანჭკოლა
თიაისა ხორცი—გლონის ხორცი
თოგალი—სპილენძის ჟანგი
თუბალი—თუთუბო
თიოი—დურჯი (დურჯი)
თურხმი ქარევასა—ნიახურის თესლი არის
თოხმაქანი—მსუქანასა ქვიან.

—

ინდოური ალვა—შირიხიშტი
იქსირანი—გრაკლის ხის მარცვალი
ისტიფრალი—სისხლისაგან დალაა, გინდა რწყევისაგან
ინდუბა—რაზიანის თესლი არის.

—

კილამონი—კილამურა
კალნაბი—თუდარი
კატკატო—უკვდავა კიდევ...
კალია—მაშა.

—

ლაჯავარდი—ლაქვარდი
ლოკი—ლოკოკინა.
ლილისანალ-მალისი—იფნის კაკალი
ლისანა ბაყრი—იფნის თესლი
ლუაბი—ბაზრაკატუნისა წვენი
ლატრო—თუთუნოს ქვიან
ლისან ლასვარი—იფნის თესლია
ლაქი—ზაფრანა.

გ. თ—ლი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 12.

## უცხოეთი

გერმანია. ამ დღეებში, როგორც გვაცნობა დეპეშამ, უარ-ყოფილ იქმნა კანონ-პროექტი სოციალისტების წინააღმდეგ. ძალიან-კი შიშობდნენ, რომ ამ კანონ პროექტმა არ გაიმარჯვოს და სოციალისტების შესახებ განსაკუთრებული კანონები სამუდამოდ არ დაიდოსო. ჯერ ისევ პირველად წაკითხვის დროს ამ კანონ-პროექტის შესახებ თავისუფალმა მოაზრემ მუნკელმა სთქვა, რომ ეგ კანონ-პროექტი შიშის ბრალი უნდა იყოსო. რისა ეშინიან „ბისმარკს“. იმანვე არა სთქვა, რომ გერმანელებს არავისი არ ეშინიანთ, ღვთის მეტისაო. ეტყობა მთავრობა თავის გულადობას სხვა დროსთვის, ან დღესასწაულისათვის თუ ინახავს. თქვენის განსაკუთრებულის კანონებითაო, განაგრძო მუნკელმა: ის მოიმკეთ, რომ დღეს სოციალისტების წინააღმდეგ ველარავის ველარა უთქვამს-რა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დაჩაგრული დასია სოციალისტების დასი; მეორეც კიდევ იმიტომ, რომ ხმას ამოვიღებთ თუ არა იმათ გამო, პოლიციის აფიცერი სოციალისტებს პირზე ხელს აფარებს, თქვენ პასუხის თქმის ნება არა გაქვთო, და აბა ამისთანა ყოფაში პატიოსანი ბრძოლა როგორ შეიძლებაო!?

იმედია, მინისტრი გერფურტი, რომელიც ასე იცავს ზემოხსენებულს კანონ-პროექტს, არ გამიწყრებაო, სთქვა შემდეგ მუნკელმა: უკეთუ მოვახსენებ, რომ იმისი ლაპარაკი, ვითომ სახელმწიფომ თავის თავი უნდა დაიფაროსო, ცალიერი სიტყვებია და სხვა არაფერი. თუ ჩვენ დავუწყეთ ბრძოლა მთელს დასს და ამ ბრძოლაში ჩვენდა დასაფარავად მივმართავთ განსაკუთრებულს კანონებს, ვინ გვითავდებებს, რომ სოციალ-დემოკრატებიც, თავის დასაფარავად, იმავე უკანონობის გზას არ მიჰმართავენ, რომელსაც ჩვენ გავყოლივართ. ერთს რომელსამე დასს ნება არა აქვს სთქვას, რომ მარტო მე ვარ საფუძველი და მხსნელი სახელმწიფოსიო. ჩემი აზრი ის არის, რომ რეიხსტაგი არას გზით არ მიინდომებს დაარღვიოს საზოგადო კანონები და არ შეიწყნარებს მთავრობის მიერ წარმოდგენილს კანონ-პროექტსაო.

მუნკელისა და სხვათა თავისუფალ მოაზრეთა აზრმა გაიმარჯვა და ამ დღეებში სოციალ-დემოკრატების საწინააღმდეგო კანონ-პროექტი უარ-ყოფილ იქმნა.

ინგლისი. ლონდონის საქალაქო საბჭოში ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი მომხდარა ამ ხანებში. ვიღაც პასტორს ურჩევია საბჭოსათვის, რომ სტენლი მოვა აფრიკიდამ და ფული გადასდეთ იმის სამასპინძლოდ და ჯეროვანის პატივის ცემით მისაღებადაო. თითქმის ყველა მზად იყო მიეღო ეს წინადადება, რომ წამოდგა მუშა ხალხის მოთავე, სახელ-განთქმული ორატორი ჯონ ბერნსი, და გამოაცხადა, რომ მე წინააღმდეგი ვარ პასტორის წინადადებისაო. საბჭოს ნება არა აქვს ჰხარჯოს ფული მაგისთანა საქმეებისათვისაო. მე ვფონებ სრულიად მეტია ვაქოთ და ვადიდოთ ის კაცი, რომელიც თითონვე ამბობს, რომ ამდენი და ამდენი ქვეყანა ავიკელიო. იმ ვაჭართ, რომელთა საეჭრო ინტერესებისათვისაც წავიდა სტენლი აფრიკაში, რასაკვირველია, სრული ნება აქვთ აქონ და ადიდონ იმისი მხნეობა, ნიჭი და გამბედაობა; აქაან აგრეთვე იმისთვისაც, რომ სტენლი ისე უღიერად მოექცა აფრიკელ მკვიდრთ. მეც ვიყავი აფრიკაში თითქმის ორი წელიწადი და დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ იმისთანა კაცებს, როგორიც ბრაცცა და სტენლია, ვერას გზით ლივინგსტონს ვერ ამოვუყენებთ გვერდში. სტენლი სრულიად უნამუსო კაცია. ნამდვილი იმისი აზრი ის იყო, რომ ხელში ჩაეგდო სპილოს ძვლები, რომელიც ემინ-ფაშას მოეგროვებინა. განათლებას გამავრცელებელი-კი არ იყო სტენლი აფრიკაში, არამედ ევროპიულის ჩარჩობის მოციქული იყო. დასასრულ ბერნსმა სთქვა: „უარი მითქვამს და გამომიცხადებია, რომ სულითა და გულით წინააღმდეგი ვარ ვურჩიოთ ლონდონის ხალხს, დახარჯე ფული და პატივი ეცი, წააქეზე სისაძაგლეო; უარი მითქვამს, რომ გაიმართოს ის დღესასწაული, რომელიც გინდათ გაუმართოთ სტენლის, არა გეოგრაფსა და მკვლევარს, არამედ კონგოს ავაზაკსაო“.

თითო-ოროლამ პასუხი მისცეს ბერნს, მაგრამ მაინც პასტორმა უკან წაიღო თავისი რჩევა და სთქვა, რომ რახან აგრეა, დეე ისევ ლონდონის ვაჭრებმა სცენ პატივი თავის წარმომადგენელს სტენლისაო.

## წვრილი ამბები

მადაგას (ისპანიაში) ამას წინად ერთი იშვიათი შემთხვევა ყოფილა. გარდაცვლილა ერთი შვიდის წლის უმაწვილი ქალი. ბავშვის სიკვდილი ექიმებსაც შეუმოწმებიათ, მაგრამ მწუხარებით განსაკვრებული დედა-კი ექიმებს არ უგონებდა, გარდაცვალებულს არ ამარხვინებდა და დაჟინებით გაიძახოდა, რომ ჩემი ქალიშვილი სიღატას მილშია და ჩქარა ისევე გამოიღვიძებსო. ბევრი ურჩიეს უბედურს დედას, უნდოდათ დაეყოლიებინათ როგორმე და ბავშვი დაემარხვინე-

ბინათ, მაგრამ ვერ დაითანხმეს. ბოლოს, როცა მწუხარებითა და დარდით მოქანცულს დედას ჩაეძინა, ყმაწვილის გვამი ნათესავებმა და მახლობლებმა საიდუმლოდ წაიღეს სასაფლაოზედ მიწას მისაბარებლად. ის იყო უნდა ჩაეშვათ თურმე საფლავში, რომ ამ დროს დაფეთიანებული დედა მოვარდა და გოდება დაიწყო: „დამიბრუნეთ, მომეცით ჩემი შვილი, ნუ მართმევთო!“ ისეთი სასოწარკვეთილი იყო თურმე დედა, რომ, მეტი ღონე აღარ დარჩენოდათ, უკანვე უნდა დაებრუნებინათ კუბო. რამდენსამე საათს შემდეგ მიცვალებული კუბოში შეიძრა, წამოიწია და თვალები გამოახილა. დედისთვის მშობლიურს გულს არ ემტყუნა, ბავშვი მართლაც სადათას მილოში ყოფილიყო.

— მონტე-კარლოში ტრაგედიები თითქმის ყოველ დღე სწარმოებს. ამას წინად ერთმა ინგლისელმა თავისს ოთხს ვაჟიშვილს დიდ-ძალი ქონება დაუტოვა, ამათ ეს ქონება სულ რამდენსამე დღეში წააგეს მონაკოს და აღარა დარჩათ-რა. მონაკოს მმართველებმა გზის ფული მისცეს ოთხსავე ინგლისში წასასვლელად, მაგრამ ძმები ნიცას შეჩერდნენ და ერთს დღეს მოიკლეს თავი. ერთის დღის შემდეგ კიდევ მონაკოში ერთმა წაგებულმავე უცხო-ქვეყნელმა მოიკლა თავი, ასე რომ სულ ერთს კვირაში ხუთი ადამიანი იმსხვერპლა ამ პაწია სახელმწიფომ. ახალი მთავარი მონაკოსი დაჰპირდა თავისს ახალგაზდა მეუღლეს, რომ მოიკლავს თუ არა ჩემს სამთავროში ვინმე წაგებული თავს, მაშინვე დავხურავ ქაღალდის სათამაშოსა და სათამაშოსა, მაგრამ ეხლა, როგორც ეტყობა, თავისს დანაპირებს არ ასრულებს.

— ამას წინად ბერლინის სასამართლომ გაარჩია საქმე ერთის დამნაშავისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ თავისი დეიდა მოკლა და გაძარცვა. ბრალდებულის გასამართლებლად არავითარი შესამსუბუქებელი გარემოება არ იპოვებოდა და ამიტომ სასამართლომ შემდეგი ასირებული განაჩენი დაადგინა თურმე: ყოვლის უწინარეს სიკვდილით იქმნას დამნაშავე დასჯილი, შემდეგ ორის წლით დაპატიმრდეს საპატიმროში და ამას გარდა ათის წლით ჩამორთმეული ჰქონდეს ყოველივე სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებაო.

— „Times“-ში დაბეჭდილია ერთი წერილი, რომელსაც სათაურად აქვს: „საფრანგეთი 1889 წელს“. ამ წერილში სხვათა შორის შემდეგი ანეგდოტია მოთხრობილი: გენერალმა ბულანჟემ როცა საფრანგეთში მინისტრად იყო და თავისის ფარულ განზრახვის განხორციელებას აპირებდა, მაშინ მოინდომა ძლიერ მოკავშირედ პაპი ლეონ მე XIII მიემხრო, რომში ერთი თავისი ემისარი გაჰგზავნა თურმე და წერილიც გაატანა. გაგზავნილმა კაცმა პირ-ნათლად შეასრულა მინდობილი საქმე, ჰნახა პაპი და ბულანჟეს წერილიც გადასცა. როცა პაპმა წაიკითხა ბულანჟეს წერილი, ოდნავ დაფიქრდა თურმე და შემდეგ წერილის მომტანს უთხრა: „გადაეცით გენერალს ბულანჟეს, რომ პაპებს მართლაც არა ერთხელ მიუღიათ ისტორიის დრამასა და კომედიაში მონაწილეობა, მაგრამ ინტერმედიაში-კი არასოდეს არ აუსრულებიათ როლი და არც აასრულებენო“.

— გაჩნდა თუ არა მადრიდში ინფლუენცია, თითქმის ყველაზედ პირველად ამ სენით ავად შეიქმნა ერთი ბუჰგალტერი იქაურის ბანკისა, ფრანგი ლანგრანჟი. ცოლი თავ-გამოდებული უვლიდა თურმე ქმარს, ზედ დასტრიალებდა და რამდენისამე დღის შემდეგ ავადმყოფი უკეთ გახდა და მოიხედა. იმის მაგიერ ახლა ქ-ნს ლანგრანჟს მოერია თურმე ეს სენი, შემდეგ ფილტვების ანთებად გადაექცა და გარდაიცვალა. ცოლის მოსიყვარულე ქმარმა თავისი საქმეები წესსა და რიგში მოიყვანა, რამდენიმე წერილი მისწერა ნათესავებსა და ნაცნობებს და შემდეგ რევოლვერი გასტენა. მთელი ღამე ამ მწუხარებით გახელებულმა კაცმა იმ ოთახში გაატარა, სადაც ჯერ კიდევ დაუმარხავი და ყვავილებით მორთული გვამი იმის მეუღლისა იყო სარეცელ ზედ დასვენებული, გარიჟრაჟისას გვამს მოუწვა გვერდით და სამჯერ დაირტყა მკერდში რევოლვერი. პოლიციელი რომ შევიდა ამ სახლში, ლანგრანჟი უკვე გარდაცვლილიყო. გარდაცვალებულის მიერ წერილში გამოთქმულ სურვილისამებრ ეს კაცი თავის მეუღლესთან ერთად დამარხეს თურმე.

# დეპეშა

17 იანვარი

პეტერბურგი. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უფროსი ბერლინს წავიდა.

იუსტიციის სამინისტროს ბრძანებაში გამოცხადებულია სია იმათი ვინც, დანიშნულ იქმნა სამაზრო წევრებად მოსკოვისა, ვლადიმირისა, კალუგისა, კოსტრომისა, რიაზანისა, ჩერნიგოვისა, ნეჟინისა და სტარო-დუბის ოლქის სასამართლოთა.

«ტარიფების კრებულში» გამოცხადებულია გზათა-მინისტრის განკარგულება, რომლის ძალითაც აეკრძალათ რკინის გზების მმართველობათა და აგენტებს ჩამოართვან ხოლმე საქონლის გამგზავნთ ბარათები უზრუნველ-ყოფისა.

პეტერბურგის ბირჟა, 16 იანვარი.

| | მუშტრები ჰყავს. | გამყიდველი ჰყავს. | გაყიდულა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | „ | 7 28 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 145¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 09 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 243¼ |
| —მეორისა | — „ | — „ | 229½ |
| —მესამისა | — „ | — „ | 219 62 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდგან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა | „ | 40 |
| იავნანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კედლის კალენდარი ჩარკვიანისა | „ | 40 |
| საყმაწვილო ამბები თ. ახათიანისა, ფასი | „ | 10 |
| სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული | „ | 10 |
| საერთო კედლის კალენდარი 1890 წ., ექ. ხელაძის გამოცემა | „ | 25 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიასი | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა | „ | 15 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| აკაკი-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა | „ | 30 |
| სამართლის წიგნი კახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“ | „ | 50 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ 24 დეკემბერს 1889 წლ. გადასწყვიტა დანიშნოს ახალ პიესების დასაჯილდოებლად ორი პრემია: 1) ოცი და 2) თორმეტი თუმ. შემდეგის პირობებით.

1) პიესა უნდა იყოს ახალი, ე. ი. ისეთი, რომელიც არა ყოფილა წინად წარმოდგენილი, დაბეჭდილი და ან გასინჯული დრამატიულ საზოგადოებისაგან.

2) დასაჯილდოებლად წარმოდგენილი პიესა ორიგინალური უნდა იყოს. პირველი ჯილდო მიეცემა ყოვლად ორიგინალურ პიესისათვის, მხოლოდ მეორე ჯილდო შეიძლება დანიშნოს იმ პიესისათვისაც, რომლის სიუჟეტი აღებულია უცხო ქვეყნის პიესიდამ, ან მოთხრობიდამ. ამ უკანასკნელს შემთხვევაში საჭიროა, რომ ეს სიუჟეტი შეეფერებოდეს ჩვენს ცხოვრებას და მწერალმა დაასახელოს ის თხზულება, საიდამაც აიღო სიუჟეტი.

3) პიესის სიუჟეტი შეიძლება ნამდვილ ცხოვრებიდამაც იყოს აღებული, მხოლოდ ისე-კი, რომ კერძოდ არავინ იქმნას შეურაცხყოფილი და საზოგადოებამ არ იცნოს სცენაზე გამოსული მომქმედი პირი.

4) პიესაში ქართული ცხოვრება უნდა იყოს დახატული და უმთავრესნი მომქმედნი პირნი ქართველნი უნდა იყვნენ და არა სხვა ტომისანი. თუ იმერელი, მეგრელი, ხევსური, ან სხვა ისეთი ქართველი იქნება გამოყვანილი, რომელთაც განსაკუთრებული კილო აქვთ, ეს კილო არ უნდა იყოს დამახინჯებული, ან სასაცილოდ აგდებული.

5) პიესას არ უნდა ემჩნეოდეს, რომ უკვე დაწერილ ქართულ ან უცხო ქვეყნის პიესის მიბაძვაა.

6) პიესა შეიძლება კომედია იყოს, დრამა, ტრაგედია, სცენები ისტორიული ან ეხლანდელ დროისა და სხვ., ვოდევილსა ანუ ფარსს გარდა.

7) პიესა უნდა შეიცავდეს 3 მოქმედებაზე არა ნაკლებს და აგრეთვე სასურველია, რომ მასში იყოს გამოყვანილი არა უმეტეს 15 მომქმედ პირისა.

8) სასურველია შიგ ისეთი სცენები იყოს ჩართული, რომ ახალი ძვირფასი დეკორაციები და ტანისამოსი, ან სხვა ამ გვარი ძნელად მოსახერხებელი სასცენო მოწყობილობა არ უნდოდეს.

9) პიესა უნდა გამოეგზავნოს დრამატიულს საზოგადოებას (მის თავმჯდომარის გიორგი თუმანიშვილის სახელობაზე, ტფილისს, ბარიათინსკის ქუჩაზე, სახლი № 8) ორ დაბეჭდილ კონვერტად. ერთში უნდა აყოს პიესა რომელისამე დევიზით, ანუ ფსევდონიმით, მეორეში უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი გვარი ავტორისა და ფსევდონიმი ანუ დევიზი გამოაშკარავებული. მეორე კონვერტი მხოლოდ მაშინ იქნება გასინჯული, თუ პიესა კარგი და ჯილდოს ღირსი აღმოჩნდა.

10) პიესები წარმოდგენილი უნდა იქმნას ავტორისაგან მომავალ პირველ ღვინობისთვემდე.

11) პიესებს დრამატიულ საზოგადოების მმართველობა განიხილავს ამათ თანადასწრებით, რომელთაც მწერლობისა და სცენის მცოდნეთ იცნობს.

12) თუ პიესა ჯილდოს ღირსად იქმნა ცნობილი, მმართველობამ უნდა გამოაცხადოს იმისი ღირსება და ნაკლულევანება: ასევე უნდა მოიქცეს მმართველობა იმ პიესების შესახებაც, რომელთაც თუმცა ჯილდოს ღირსად ვერ იცნობს, მაგრამ იმის ავტორს-კი სახელო ნიჭს შეამცნევს.

13) ჯილდოს მიცემის დროს ავტორს ხელწერილი ჩამოერთმევათ რომ ის თავის პიესას ამას იქით იცნობს დრამატიულ საზოგადოების საკუთრებად.

(7—7)

Доз ценз. Тифлисъ 17-го Января, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Melик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.